№ 191

კვირა, 5 სექტემბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 191

კვირა, 5 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქ. ქუთაისში
ექიმი გაზრ. იოს.
გოკიელოვი
იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ცფილისის ქუჩა, ლევან ქურთოშვილის სახლი, № 2.
(40—140—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
დილით:
ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.
ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—10—11 საათ.
დ. კ. ერისთავი—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12
ნ. ტ. მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1.
თ. ნ. ადამიანი—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.
ნ. ზ. უმიკოვი—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.
საღამოთი:
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
ს. ი. ავაწაძე—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.
გ. მ. მახვილაძე—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—6—7 საათ.
კ. ი. გძელიშვილი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—7—8 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.
გარდა ამისა საჭიროების დაგვარად მოწვეულ იქმნებიან ოპერაციებისათვის:
საქირურგო—თ. ვ. ჩუდნოვსკი.
დედათა სნეულებისათვის—ე. სოზბესტიანსკი.
და თვალებისა—გ. ა. ტარსაიძე.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ა. შ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница Д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

ექიმი
კ. ს: გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—45)

კბილის ექიმი
ს. გ. სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

ქუთაისის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე
კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ გამოფენა ქუთაისში გაიხსნება 15 სექტემბერს, ხოლო ექსპონატების მიღება დაიწყება 5 სექტემბრიდგან.
(5—143—1)

ქ. ქუთაისში
პიანისტკა
რ. მატროსოვიჩი,
რომელმაც გაათავა ვენის კონსერვატორია, ასწავლის ფორტეპიანოს დაკვრას.
ადრესი: ნემსაძის სახლი, სადგურისკენ (?) სცხოვრობ ნინჟენერი ა. გ. ცეიტლინი (რკინის გზის სადგურის ახლოს).
(15—139—7)

## ახალი ამბავი

*** დღეს, 5 სექტემბერს, 12½ საათ., აკურთხებენ ექიმის მ. გედევანიშვილის ახლად დაარსებულს სამკურნალოს.

*** ხვალ, 6 სექტემბერს, დანიშნულია, საზაფხულო დასვენების შემდეგ, პირველი სხდომა ქალაქის საბჭოსი.

*** ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში დასრულდა მისაღები ეგზამენები. ეგზამენი მოუხდია 126 ყმაწვილ-კაცს, რომელთაგან მიუღიათ 80-მდე მოსწავლე.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ტ. ს. ი. ს. მედვედევს დაუმზადებია მოხსენება კავკასიის მიერ პარიჟის გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ. მოხსენება ამ ჟამად უკვე წარუდგენიათ მოსაწონებლად კავკასიის მთავარ-მართებლისათვის.

*** როგორც ისმის, ტფილისის პოლიცმეისტერი დ. ს. ს. ლ. პ. მასტიცკი სამსახურს თავს ანებებს ავადმყოფობის გამო.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა 112 მოგზაური ფრანგი, წევრნი სამეცნიერო საზოგადოების „Revue Generale des Sciences“-ისა, რომელიც წელიწადში ორჯელ თავისს წევრთათვის სამოსწავლო ექსკურსიებს ჰმართავს ქვეყნის ყველა კუთხეში. ახლანდელ ექსკურსიის საგანია ხმელთა-შუა ზღვის და შავის ზღვის შესანიშნავ ნავთ-სადგურებისა და კავკასიის ზოგიერთის ადგილების გაცნობა, და სამეცნიერო მასალის შესაკრებად მიწად-მფლობელობისა, ეტნოგრაფიისა და ანტროპოლოგიის შესახებ. ამ ჟამად კავკასიაში მყოფ ფრანგთა შორის არიან: ემილი ომანტი—სლავიანთა მწერლობის პროფესორი ლილში, ლუი ოლივერი—დირექტორი სამეცნიერო საზოგადოებისა, ქიმიკოსი

## ფელეტონი

### პატარა სიმღერები

#### I

სევდა.

ცას ღრუბელი გადაკვრა,
დასჩრდილა და დაბნელა;
გულსა სევდა შემოაწვა,
დრენა დაუწყო ნელა-ნელა.

ცას ღრუბელი ვერას უზამს,
ისევ მალე გადეყრება,
გულს-კი—სევდა მოინელებს,
რა ერთხელვე შეეყრება!

#### II

გაფრთხილება.

ნუ ენდობი გიჟმაჟ ზღვასა,
რა გგონია რომ მშვიდად სძინავს,
დაუბერავს უცებ ქარი,
აღელდება და ჩაგძირავს!

ნუ ენდობი კეკლუც ქალსა,
რა გგონია, რომ თვალს ახარებს,
წამოუვლის უცებ ჟინი
და სიცოცხლეს ჩაგიმწარებს!

დუტუ მეგრელი

### ალსარება

(გიუ დე-მოპასანისა)

მთელი ვეზილ-ლე-რეტილის ქალაქი დაესწრო ბაღონ ლერემენსის დასაფლავებას. მრავალს ჩარჩა ხსოვნაში პრეფექტურის წარმომადგენელის უკანასკნელი სიტყვები: „კიდევ ერთი პატიოსანი კაცი დაგვაკლდაო“.

დიაღ, მის ცხოვრებაში, მის ლაპარაკსა, ყოფა-ქცევასა, ტანის მიხვრა-მოხვრასა, სიარულსა, თითქმის წვერის მოპარსვასა და ქუდის დახურვაშიაც-კი სიპატიოსნე გამოიხატებოდა. ყოველი მისი ლაპარაკი მოძღვრება იყო; ყოველი მისი მოწყალება ლმობიერის დარიგებით თავდებოდა, ასე გასინჯეთ ყველა მის ხელის გაქნევაშიაც-კი თითქმის ლოცვა-კურთხევა გამოითქმოდა.

მხოლოდ ქალ-ვაჟი დარჩა. ვაჟი საბჭოს წევრი იყო, ქალი-კი ქეზეში ყველასაგან პატივცემულს ნოტარიუსს პუარელ-დე-ლა ვუტს ჰყავდა ცოლად.

საყვარელ მამის სიკვდილმა შვილები სასოწარკვეთილებაში ჩაჰყარა.

ბაღონის დასაფლავების შემდეგ, ქალ-ვაჟმა და სიძემ სახლში დაბრუნებისას მამის ალსარება იპოვნეს, რომელიც შეეძლოთ გაეხსნათ მხოლოდ მათ და ისიც დასაფლავების შემდეგ.

ასე ეწერა ზემოდგან ანდერძის წიგნს. ანდერძი პუარელ დე-ლა ვუტმა იპოვნა, როგორც ნოტარიუსმა, უფრო მიჩვეულმა ამისთანა საქმეს; გაიკეთა სათვალეები და დაიწყო თავისის სუსტის ხმით კითხვა:

„საყვარელო შვილებო, ძვირფასო შვილებო! ვერ მოვისვენებ მშვიდობიანად საფლავში, უკეთუ საფლავიდგან არ გაგიმჟღავნებთ იმ დანაშაულს, რომელიც მთელი ჩემი სიცოცხლე მტანჯავდა და სიცოცხლეს მიმწარებდა. დიახ, მე საშინელი, შემაძრწუნებელი დანაშაული ჩავიდინე.

„მაშინ მხოლოდ ოც-და-ექვსის წლისა ვიყავი. სასამართლოში ვმსახურებდი და პარიჟში ვცხოვრობდი, როგორც ყველა პროვინციიდგან მოსულნი ახალგაზდანი, უმეგობროდ, უნათესავოდ და უნაცნობოდ.

„საყვარელი გავიჩინე. ბევრს ზიზღი მოუვა „საყვარელის“ გაგონებაზედ, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთაც მარტოხელად ცხოვრება არ შეუძლიანთ. მეც იმათთაგანი ვარ. საშინელი სევდა შემომაწვებოდა ხოლმე მარტო მყოფს საღამოობით ბუხართან. მაშინ ჩემს თავს მარტო-ხელად ვგრძნობდი მთელ ქვეყანაში. მეგონა ათასნაირი საშინელი განსაცდელი მომელის-მეთქი; თვით მეზობელიც, უცნობი მეზობელი, მხოლოდ ერთ კედლით ჩემზე დაშორებული, ჩემის აზრით, ისე შორს იყო ჩემზე, როგორც ის ვარსკვლავები, რომელთაც ფანჯრიდგან გავცქეროდი ხოლმე. მარტოობაში თითქმის ციებას ვგრძნობდი, მოუსვენრად ვიყავი და თვით კედლებიცკი მაშინებდნენ ხოლმე. ოჰ, რა მოსაწყენია ოთახში სიჩუმე, როდესაც მარტო ხარ. მდუმარება იცავს მხოლოდ სხეულს-კი არა, სულსაც. თქვენისავე ავეჯის ყოველი ჭრიალი გაკტუნებთ, იმიტომ რომ მოულოდნელია თქვენს მიჩუმებულს ოთახში.

„რამდენჯერ, ნერვებ-აშლილს, მდუმარებისაგან შეშინებულს დამიწყვია ხმა მაღლა ლაპარაკი უაზროდ, დაუწყობლად სიტყვების რახარუხი, მხოლოდ იმიტომ, რომ ხმაურობა აღმეძრა ოთახში. მაგრამ ჩემივე ხმა მევე მაშინებდა. განა შეიძლება დაცარიელებულს ოთახში თავისს თავთანვე ლაპარაკზედ საშიში და შესაზარი?! შენივე ხმა უცხოდ, სხვისად, უთავბოლოდ გეჩვენება; მსმენელი არავინაა და წინადვე იცი თუ რა სიტყვებს წარმოსთქვამ მარტოობაში. როდესაც ეს სიტყვები გულგასაგმირავს სიჩუმეს არღვევს, რაღაცნაირ გამოურკვეველ უჟუდ გესმის იმ შესაზარ უჰუდ, რომელიც თქვენ უხმოდ, ჩუმად, მხოლოდ გონებით წარმოსთქვით.

„საყვარელი გავიჩინე, ახალგაზდა ქალი; იგი ბევრით არაფრით განირჩეოდა პარიჟის იმ მცხოვრებელ ქალთაგან, რომელთაც შემოსავალი არა ჰყოფნით საცხოვრებლად. მშვიდი, კეთილი და უზაკველი ქალი იყო; მისი მშობლები პუასაში სცხოვრობდნენ, სადაც ხან და ხან რამდენისამე დღით ჩემი საყვარელიც წავიდოდა ხოლმე.

„მთელი ერთი წელი ვცხოვრობდი მასთან მშვიდობიანად; გარდაწყვეტილი-კი მქონდა: შემხვდებოდა

სორრე, ქირურგი ტერიერი, რომელსაც ამ ერთის თვის წინად ლაბორის ჭრილობა გამოუკვლევია, დ-რი შარლ ლერუ, ანდრე დიუპუი და მრავალი სხვა ცოტად თუ ბევრად ცნობილი მეცნიერი, მხატვარი და მწერალი. ტფილისიდგან, სადაც მოგზაურთ საბოტანიკო ბაღი, ქალაქის აზიური ნაწილი, მუშტაიდი და სხვ. დაათვალიერეს, გუშინ-წინ საღამოს საგანგებო მატარებლით ბაქოში გაემგზავრნენ. იქიდგან ისინი ისევ ტფილისში შემოივლიან და დაბრუნდებიან მარსელში; დაბრუნებისას გზად გაივლიან ქუთაისსა, ბათუმსა, ტრაპიზონსა, სინოპსა და მესინაში.

*** 3 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე თავ. დავ. დიმ. მიქელაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა პოლიციელებთან წინააღმდეგობის გაწევა. სასამართლომ ბრალდებულს ციმბირში საცხოვრებლად გაგზავნა მიუსაჯა, მაგრამ ამასთან დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ სასჯელის ნაცვლად ბრალდებულს 2 თვით დატუსაღება დაენიშნოს უფლებათა აუყრელადაო.

*** დღეს, 5 სექტემბერს, გაემგზავრება ქ. გორს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია, რომელიც შესდგება სასამართლოს თავმჯდომარის ა. ი. ბოგაევსკისა, სასამსრთლოს წევრის ა. ვ. პადალკოს, სასამართლოს ბრალმდებლის ე. პ. ნიმანდერისა და ბრალმდებლის ამხანაგის ს. ი. ვაიდატო პაცევიჩისაგან. სხდომა დანიშნულია 16 სექტემბრამდე; გასახილველია 51 საქმე.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა გაუგზავნა სამსახურთა უფროსებს შემდეგის შინაარსის ცირკულიარი. რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ შავის ჭირის შემოტანის წინააღმდეგ ერთ-ერთ უსაჭიროეს ღონის-ძიებას ის შეადგენს, რომ მუშათა არტელებზედ რაც შეიძლება სასტიკი ზედამხედველობა არსებობდეს, ამის გამო გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მუშათა ცხოვრებისა, საზრდოობისა და ზაზოგადოდ სანიტარულ მდგომარეობის და აგრეთვე მკურნალობის გაუმჯობესობას.

*** სენატმა განმარტა, რომ ქალაქს უფლება აქვს სატრაქტირო გარდასახადი დაადოს მორთულ ოთახებს (меблированныя комнаты) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ოთახები სადილ-ვახშმით ქირავდება და თუ ერთი მეპატრონე 6-ზედ მეტს ოთახს აქირავებს. სასტუმროებს-კი (гостинницы) უნდა გარდახდეს ხსენებული გარდასახადი იმის მიუხედავად, სადილ-ვახშმით ქირავდება ოთახები თუ არა და აგრეთვე ოთახების რიცხვის მიუხედავად.

*** წელს საქარის სანერგის მმართველის ბ-ნის სტაროსელსკის თაოსნობით და კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის ნებართვით, ქუთაისის გუბერნიაში საერო განათლების სამინისტროს მრავალ სკოლასთან გაშენებულ იქმნა ამერიკულ ვაზის ვენახები იმ აზრით, რომ სკოლების მოსწავლენი გასცნობოდნენ ამ ვენახების გაშენების პირობებს ასეთი ვენახი გაშენებულ იქმნა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ინსტრუქტორის ბ-ნის ტეისის ხელმძღვანელობით ხონის სამასწავლებლო სემინარიასთან, ოზურგეთის სასწავლებელთან, ძველ სენაკის სათავადაზნაურო სკოლასთან, დიდ-ჯიხაიშის სასწავლებელთან, ნიგოითის ერთკლასიან და ორ-კლასიან სასწავლებლებთან, ფიცხინისა და ხუნევის სასწავლებლებთან.

*** მიწად-მქმედებისა და სახელმ. ქონებათა სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას 1 ყუთი სხვა და სხვა გვარად შეზავებული ღვინის ლექი, რომელიც სამინისტროს სამეურნეო საბაქტეროლოგიო ლაბორატორიისაგან მიუღია ამიერ კავკასიის სოფლის მეურნეთათვის დასარიგებლად. სამინისტრო სთხოვს იმ პირთ, რომელნიც ამ ლექს გამოსცდიან, შეგვატყობინეთ, თუ რამდენად გამოდგება ეს ლექი ღვინის დამაჭრების დროს და ამასთან გამოგვიგზავნეთ ღვინის ჭაშნიკებიო.

*** გუშინწინ, 3 სექტემბერს, ტფილისის გუბერნატორმა, განსაკუთრებულ სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიის დადგენილების თანახმად, ნება დართო ქალაქის თვითმმართველობას: 1, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო დაამტკიცებდეს წესებსა და ნიხრს, დაარსოს ეხლავე საქონლის ბაკი; 2, სთხოვოს ტფილისის პოლიცმეისტერს მონაწილეობა მიიღოს ხოლმე სასანიტარო აღმასრულებელ კომისიის კრებებში; 3, შეეკითხოს ქალაქში მცხოვრებ მკურნალებს, ბებია-ქალებს და ფელშლებს, იკისრებენ თუ არა ქალაქის სამსახურს და მონაწილეობას მიიღებენ თუ არა როგორც ქალაქის სანიტარულად მოწყობისა, აგრეთვე სხვა-და-სხვა გადამდების სენის მოსპობის საქმეში, თუ ასეთი სენი ქალაქში გაჩნდა; 4, დაურიგოს სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიის წევრებს განსაკუთრებული ფურცლები, რათა, თუ საჭირო იქმნება, შემწეობისათვის პოლიციას მიმართონ ხოლმე; 5, ქუჩებისა და მეიდნების დასუფთავების საქმის უკედ მოსაწყობად გამართოს ეხლავე ნაგვის გასაზიდი ურმები.

*** ტფილისის გუბერნიის უფროსმა წინადადება მისცა დუშეთის ქალაქის მამასახლისის თანამდ. აღმასრულებელს, შეაჩეროთ დუშეთის ქალაქის რწმუნებულთა დადგენილება ქ. დუშეთის დაფასების გარდასახადის გაწერის შესახებ, რომელიც 1,000 მან. უდრისო.

*** რადგან გლეხთა საზოგადოებანი, სახაზინო ტყეების იჯარით გაცემის დროს, თავიანთვის არა ხელსაყრელ პირობებით ეკვრებიან ხოლმე კერძო მოიჯარადრეთ, ამის გამო კავკასიის სახელმწიფო ქონებათა მმართველებს წინადადება მიეცათ თვალ-ყური ადევნონ ასეთის იჯარის გაცემას და, თუ საჭირო იქნება, დაიცვან ხოლმე ხაზინის ინტერესები.

*** ნაძალადევის მცხოვრებთა საერთო შუამდგომლობის გამო, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შეატყობინა საგუბერნიო მთავრობას, რომ რკინის გზის ლიანდაგზედ მიმოსვლის გასაუმჯობესებლად ფული უკვე გადადებულ იქმნა. რკინის გზის სამმართველოს იმედი აქვს, რომ მუშაობას წელსვე დაამთავრებს.

*** ამ დღეებში კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ ნი გეევსკი და კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტი ბ-ნი სპეშნევი კახეთს გაემგზავრებიან ვაზის წამლობის საცდელ ვენახების დასათვალიერებლად.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურის ასისტენტი გაგზავნილ იქნა ქ. სოხუმში ლექციების წასაკითხად აბრეშუმის მოყვანისა, ამოხვევისა, მოხარშვისა და შეღებვის შესახებ. კითხვა გაიმართება ბაღეულობის გამოფენის დროს.

*** კავკასიაში ჩაის ბუჩქების გასაშენებლად, „პეტ. ვ.“ ს სიტყვით, შესდგა სააქციო საზოგადოება „რუსეთის პიონერი“, რომელსაც ძირის თანხად 150,000 მან. აქვს.

*** „ტფ. ფ.“ ს აუწყებენ, რომ ტფილისის სამკურნალო გამგეობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ თიონეთის მაზრაში დაარსდეს მეორე სასოფლო ქსენონი.

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ წელს პარკის მოსავალი კავკასიაში უხეირო ყოფილა. თესლი უმეტეს ნაწილად გაფუჭებული აღმოჩენილა, ასე რომ მრავალ მეაბრეშუმეს ზარალი მისცემია, ქუთაისის გუბერნიის გარდა, სადაც პარკი კარგი მოსულა.

*** „პეტ. უწყ.“-ი იუწყება, რომ, სხვათა შორის, განზრახულია საშუალო სამეურნეო სასწავლებელთა დაარსება კავკასიაში; ამ მოკლე ხანში უნდა გარდასწყდეს ამიერ-კავკასიის გლეხთა ადგილ მამულის მოწყობის საქმე, რომელიც უკვე განსახილველად არის წარდგენილი სახელმწიფო საბჭოში; ამას გარდა სამინისტროს უკვე განუზრახავს სხვა და სხვა გვარი ღონისძიებანი კავკასიაში ახალშენთა დასახლების დასაჩქარებლად.

*** ს. იტრია, (გორის მაზრა). ორი წელიწადია რაც აქ არსებობს საეკლესიო სამრევლო სამზრუნველო, რომლის თავმჯდომარედ არის ნაფიცი ვექილი ნიკოლოოზ ლევანის-ძე აბაზაძე. სამზრუნველოს დანიშნულება მრავალგვარია, როგორც მაგალითად: სკოლის და ქსენონის გამართვა, ეკკლესიის გამშვენება და სხ. ამ სამზრუნველომ პირველად უმთავრესი თავისი ყურადღება მიაქცია სკოლის გახსნას. სწორედ დიდი მადლობის ღირსია სამზრუნველოს თავმჯდომარე ბ-ნი აბაზაძე და ადგილობრივი მღვდელი მ. ქრისტეფორე ციცქიშვილი რომელთაც არ დაზოგეს ამ ზაფხულში თავისი შრომა ღვაწლი და გაგვიმართლეს ის იმედი, რომელიც დაგვებადა ჩვენ, როდესაც პირველად გავიგეთ, რომ ისინი თაოსნობენ ამ კეთილ საქმეში. ეხლა რომ მობრძანდეთ იტრიაში, თქვენს ყურადღებას უეჭველად მიიპყრობს მდ. სურამულას მარცხენა ნაპირზედ სკოლის მშვენიერი ქვიტკირის შენობა, რომელშიაც მოთავსებულია ოთხი ოთახი: ერთი დიდი კლასისათვის, ორი—მასწავლებლისათვის და ერთიც შორიდან მოსიარულე ბავშვებისათვის ღამის თავ-შესაფარად. სკოლაში სწავლა დაიწყება შენობის კურთხევის შემდეგ, რაიცა უნდა მოხდეს ამ დღეებში.

*** რედაქციამ მიიღო ჟურნალი „ჯეჯილის“ № VII—VIII. შინაარსი ამ ნომრებისა: „შავი ცხვარი“ (საბავშვო პოემა) დ. თომაშვილისა; „დედა მწყერი (ტურგენიევიდგან) გ. ახალციხელისა; „პესტალოცის ცხოვრება“ კანოსი; „დედა და შვილი“ ლექსი კაკა-ფშაველასი; „მირაილა“ (ფრანგულიდგან) ან. წერეთლისა; „დიმიტრის თავ-გადასავალი“ (მოთხრობა) არ. ჭუმ—მისა; „გურული გლეხი“ ლექსი თეოფილე მახარაძისა; „ცხოველების უნებური მოგზაურობა და მათი გამრავლება უცხო ადგილებში“ ალ. ბარნოვისა; „პლანეტები ანუ მთიებნი (ცთომილები)

---

თუ არა იმდენად მოსაწონი არსება, რომ ჯვრის დაწერა შესაძლებელი ყოფილიყო, საყვარლისათვის თავი დამენებებინა. მივცემდი ცოტაოდენს სარჩოს, იმიტომ რომ ჩვენს საზოგადოებაში ასეა დაწესებული: ქალის სიყვარულის შესყიდვა ფულით, უკეთუ ღარიბია, და საჩუქრებით, თუ მდიდარია.

„მაგრამ აი, ერთს მშვენიერს დღეს, ამ ქალმა გამომიცხადა: ორსულად ვარო. განვცვიფრდი, ვიგრძენი ჩემი საშიში მდგომარეობა. აი, ის ბორკილი, რომელიც მთელი სიცოცხლე უნდა მეტარებინა ყველგან, სემს მომავალ ოჯახშიაც, მოხუცებაშიაც. ერთის სიტყვით შებღუდული ვიყავ; ქალთან ბავშვი მაკავშირებდა; უკანონო შვილი-კი დიდი მოვალეობაა კაცისათვის: იმას აღზრდა უნდა, სწავლება, შენახვა, ისე-კი, რომ იმასაც დაემალო და ისიც დამალო ქვეყნისაგან. გონს ვერ მოვსულიყავ ამ ამბისაგან. აი, სწორედ აქ დამებადა გამოურკვეველი სურვილი, რომელსაც მხოლოდ გულში კი ვგრძნობდი; დროებით გულში ფარულად იმალებოდა იგი იმ ხალხსავით, რომელნიც კარებს უკან არიან მიმალულნი და მარტო გახმაურებას მოელიან.

„ხომ შეიძლება რამე მომხდარიყო! ხომ შესაძლებელი იყო ეს უსუსური არსება დაბადებამდის მომკვდარიყო!?. ეს ხომ ხშირად ჰხდება!

„ოჰ! სულ არ მინდოდა ჩემის საყვარლის სიკვდილი. საბრალო ძალიან მიყვარდა! შეიძლება, ამ სხვის, მეორის, სიკვდილს-კი მონატრული ვიყავი, რომელიც ჯერ არ მენახა?!.

„დაიბადა იგი და ჩემი პატარა ოჯახი გაბავშვიანდა. ოჰ, ეს კი საშინელება იყო! ბავშვი იგეთივე იყო, როგორიც ყველა სხვა ბავშვია. სრულიად არ მიყვარდა იგი. იცით, მამებს შემდეგში შეუყვარდებათ ხოლმე შვილები. იმათთვის უცხოა თავ-განწირული დედობრიული აზიზი და სპეტაკი სიყვარული; მამას გრძნობა თან და თან ეღვიძება.

„გაიარა ერთმა წელიწადმა. გავიქეცი ჩემის პატარა ოთახიდგან, სადაც თეთრეულები, არტახნები, ხელთათმანების ოდენა წინდები ეყარა; უფრო-კი გავექეცი ბავშვის ტირილ ჩხავილს; იგი გამუდმებით ტიროდა: მიკარებისა, ჩაცმისა, ბანებისა, ჩაწვენისა, აყენებისა და ყოველს სხვა შემთხვევაშიაც.

„ხალხიც გავიცანი. ერთს სასტუმროში დედა თქვენს შევხვდი. შემიყვარდა; არშიყობა დაუწყე, ცოლობა ვთხოვე; დამთანხმდა.

„აი, სწორედ აქ გავები მახეში. მე, ბავშვის მამას, ან უნდა შემერთო ეს ახალგაზდა ქალი, ჩემი ღმერთი, ან ჭეშმარიტება მეთქვა და სამუდამოდ მოვშორებოდი ბედნიერებას. მისი სასტიკი და მკაცრი მშობლები გაიგებდნენ თუ არა სიმართლეს, არას გზით არ მომათხოვებდნენ თავიანთ ქალს—თქვენს დედას.

„საშინელს ტანჯვასა და ზნეობრივ წვალებაში გავატარე ეს თვე: აი ამ თვეში, როს ათასნაირი აზრი გარს მეხვეოდა, მაწვალებდა, მქენჯნიდა, ვიგრძენ სიძულვილი ჩემის შვილის მიმართ, ამ ერთი ბეწო ცოცხალ ხელის ოდენა მტირალა არსებისა, რომელიც წინ მეღობებოდა, სიცოცხლეს მიბოროტებდა, იმედებითა და ბედნიერებით სავსე მომავალზედ, იმ მომავალზედ, რომელიც ყოველის ახალგაზდის სატრფიალო ოცნებას შეადგენს, [illegible] მალებინებდა.

„მაგრამ აი, ჩემს საყვარელს დედა გაუხდა ავად და მარტო დავრჩი ბავშვთან.

„ეს იყო ქრისტეშობის თვეში. საშინელი ყინვები იდგა.

„უჰ, რა ღამე იყო!... ჩემი საყვარელი წავიდა.

„ნავახშმევს ფრთხილად შევედი ბავშვის საწოლ ოთახში.

„ცეცხლის პირას სკამზე ჩამოვჯექი. საშინელი ხმელი ქარი ქროდა და ფანჯრის შუშებს ეხეთქებოდა; ფანჯრიდგან შევნიშნე მკრთალი შუქი ვარსკვლავებისა, როგორიც-კი არის ხოლმე ძალიან ყინვიან ღამეებში.

„ფიქრები—ეს ჩემი მთელის თვეობით თავიდგან მოუშორებელი სტუმრები—ისევ მეწვივნენ. დავრჩებოდი თუ არა მარტო, მაშინვე დამიწყებდნენ ხოლმე ქენჯნას; მქენჯნიდნენ განუწყვეტლად; თავიდგან ვერ მომეშორებინა; ჩემი გონება, გული, მთელი ჩემი სხეული, მთელი ჩემი არსება შეეპყრათ და გამძვინვარებული გარეულ ნადირსავით სწიწკნიდნენ. მინდოდა თავიდგან მომეშორებინა, სხვა საგნისთვის მიმექცია ყურადღება. ვცდილობდი გულიდგან გამედევნა ეს ფიქრები, როგორც ფანჯრის გაღებით ღამის მოწამლულ ჰაერს დილის ფაქიზ წმიდა ჰაერით გასდევნიან ხოლმე, მაგრამ ვერც ერთ წუთს ვერ მოვიშორე. სწორედ არ ვიცი როგორ გამოვთქვა ეს ტანჯვა: ვგრძნობდი ქენჯნას სულისას, ფიზიკურ და ზნეობრივ ტკივილს და წყლულებას.

„სიცოცხლე მესპობოდა! როგორ უნდა მეთქვა უარი და უარის მიზეზი როგორ უნდა ამეხსნა?! დედა თქვენი-კი თავ-დავიწყებამდის მიყვარდა, ამ სიყვარულს დაბრკოლება ერთი ორად აცხოველებდა.

„ვმძვინვარებდი; ეს მძვინვარება ყელში მებჯინებოდა, სისულელემდის მივყავდი... სისულელემდის, დიახ, გიჟი ვიყავ ამ ღამეს!...

„ბავშვს ეძინა. წამოვდექი და დავხედე. აი, ეს ბავშვი, ეს თითის ოდენა მატლი სამუდამოდ მაუბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოსი; „დაკარგული შვბი“ (სამხრეთ ამერიკის ზღაპარი) ლადო აღნიაშვილისა; „მოწყალება“ (ტურგენიევიდან) ან. წერეთლისა; „დედის ნუგეში“ თ. განდეგილისა; წვრილმანი: „სალხური ლექსები, გამოცანები, ანდაზები, ანაგრამა, შარადა, რებუსი და სხვა.

# რუსეთი

—

წლევანდლიდგან, „რუს. უწყების“ სიტყვით, ლექციების კითხვა შეუწყვეტიათ პეტერბურგის უნივერსიტეტში შემდეგ ცხრა პროფესორს: ნ. ი. კარეევს, ა. ა. ისაევს, ნ. ი. სვეშნიკოვს, პოსეს, ი. მ. გრევს, პ. ი. ვეინბერგს, ს. ა. ვანგეროვს, ნ. მ. კნიპოვიჩს და ფ. დ. ბატიუშკოვს.

— „ნოვოსტი“ იუწყება, რომ საერო განათლების სამინისტროს საშუალება მიეცემა იმ მასწავლებელ კაცთა და ქალთათვის პარიჟის გამოფენაზედ წასვლის გასაადვილებლად, რომელთაც იგი ღირსეულ მასწავლებლებად იცნობს და რომელთა წასვლისაგან სარგებლობაა მოსალოდნელი.

— ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საყოველთაო მოწერილობით საშუალო სასწავლებელთა წარმომადგენელთათვის, წინადადება მიუცია კრებები გამართონ მოსწავლეთა მშობლებთან მოსალაპარაკებლად და სათათბიროდ საშუალო სკოლის ნაკლულევანებათა მოსპობის შესახებ.

— „სარატოვის ფურც.“-ში დაბეჭდილია შემდეგი:

„სარატოვის გუბერნატორის თანამდ. აღმ.-საგან. ჩემს ყურამდე მოახწია, რომ უსაქმო და უთავ-ბოლოდ მოლაყბე, ანუ ბოროტ-განმზრახველი კაცები ხმებს ავრცელებენ ხან გადამდებ სენის შესახებ, ხან ქარხნის მუშათა გაფიცვისა და არეულობის შესახებ სარატოვის გუბერნიაში. ასეთის უგუნურ და უსაფუძვლო ხმების გამო საყოველთაოდ ვაცხადებ: 1) რომ მთელს სარატოვის გუბერნიაში წელს არსად არ არსებობდა და არც ამ ჟამად არსებობს არავითარი გადამდები სენი, რომ არის მხოლოდ ჩვეულებრივი შემოდგომის ავადმყოფობანი, სახადი და უმთავრესად ციება, რომლებიც გამოწვეულია ამინდების შეცვლისა და ავადმყოფთა გაუფრთხილებლობისაგან, და რომ ამ ჟამად სიკვდილი მცხოვრებთა შორის ამ ჩვეულებრივ ავადმყოფობათაგანაცკი არ არის სხვა წლებზედ უფრო გახშირებული; 2) რომ სარატოვის გუბერნიაში, და სხვათა შორის, ქ. სარატოვში, არავითარი არეულობა ქარხნებში და საზოგადოდ რაიმე უკმაყოფილება მცხოვრებთა შორის არ ყოფილა და არც არის.

— საგუბერნიო დაწესებულებათა ცვლილების პროექტი, გაზეთების სიტყვით, წარდგენილ იქმნება სახელმწიფო საბჭოში ზამთარში და, თუ იგი მოწონებულ იქმნა, საგუბერნიო დაწესებულებათა გადაკეთებას 1900 წლის ივლისში შეუდგებიან.

— სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ სამღვდელოების ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს უკანონო ქორწინებათა საწინააღმდეგო ღონისძიებათა გამოძებნა, განაახლებს მუშაობას სექტემბრის გასულს და დაამთავრებს ამ წლის ზამთარში, რის შემდეგ უმაღლესი სამღვდელოება პროექტს უწმ. სინოდს წარუდგენს განსახილველად.

— ამ შემოდგომაზედ წარდგენილ იქმნება სახელმწიფო საბჭოში ვექსილის ახალ წესდების პროექტი, ხოლო სააქციო კანონ-მდებლობის პროექტი-კი შემუშავებულ იქმნება, როგორც ისმის, არა უადრეს მომავალ გაზაფხულისა.

— რადგან ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, უთუოდ ორს განყოფილებას: რელიგიურ-ზნეობრივსა და ისტორიულ-ბელეტრისტულს, უნდა შეიცავდეს თუ არა სახალხო კითხვები და შეიძლება თუ არა ერის კაცს მიენდოს რელიგიურ-ზნეობრივის შინაარსის წერილების კითხვა ანუ უთუოდ სასულიერო წოდების კაცს უნდა მიენდოს თუ არა იგი, —ამის გამო საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სახალხო კითხვების წესებში ამ მხრივ არავითარი შემავიწროებელი დადგენილება არ არისო.

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** ინგლისის სავაჭრო ფირმების დიდს ნაწილს, რომელსაც გარდაწყვეტილი ჰქონდა 1900 წლის პარიჟის გამოფენაზედ მონაწილეობა მიეღო, გამოფენის კომიტეტისათვის განუცხადებია გაუგზავნია და შეუტყობინებია, რომ გამოფენაზედ მონაწილეობის მიღება აღარ გვსურსო. თავისს ასეთს საქციელს ხსენებული ფირმები იმით ასაბუთებენ, რომ გამოფენაზედ ინგლისის საქონლისათვის ერთობ მცირე ადგილი არის დატოვებული, რომელიც არ შეჰფერის ბრიტანიის აღებ-მიცემობასო. ამას გარდა კიდევ ის სწყენიათ ინგლისელებს, რომ ლონდონში მოვაჭრე გერმანელ ფირმებისათვის, რომელნიც მხოლოდ გერმანიიდგან მიტანილ საქონლით ვაჭრობენ, პარიჟის გამოფენაზედ ადგილი დაუთმიათ ისე, ვითომც ისინი ინგლისის აღებ-მიცემობის წარმომადგენელნი იყვნენ, დასასრულ ბრიტანიის ექსპონენტები აცხადებენ, რომ საფრანგეთის პოლიტიკურმა მდგომარეობამ ყოველივე სურვილი დაგვიკარგა გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისაო.

— ინგლისელებს საჭიროდ დაუნახავთ რუსული ენა შეასწავლონ თავიანთ აფიცრებს. გაზ. „Globe“ ამბობს, რომ ზედმიწევნით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ცოტაოდნად მაინც უნდა იცოდნენ ჩვენმა აფიცრებმა რუსული ენაო. რუსეთსა და ინგლისს შორის ომი იმდენად შესაძლებლად მიაჩნია გაზეთს, რამდენადაც საფრანგეთსა და გერმანიას შორის, და უბედურება ის არისო, განაგრძობს გაზეთი, რომ ერთს ინგლისელ აფიცერზედ, რომელმაც რუსული ენა იცოდეს, ათი რუსის აფიცერი მოვა, რომლებმაც ინგლისური იციანო.

—

**საფრანგეთი.** ჟურნალ-გაზეთები როგორც საფრანგეთში, ისე სხვა ქვეყნებშიაც, ჯერ კიდევ დრეიფუსის შესახებ ლაპარაკობენ. გერმანიასა და იტალიაში ბევრი ძლიერ გაუკვირდებია იმ გარემოებას, რომ რენის სასამართლომ უარი განაცხადა ჩვენება ჩამოერთმია შვარცკოპენისა და პანიცარდისათვის. თუმცა წინაზედ გერმანიის ყველა გაზეთები, —და განსაკუთრებით ოფიციოზური, —დაჟინებით გაიძახოდნენ, რომ გერმანიის მხრით ყველაფერი ნათქვამია და მეტი აღარა დარჩენია-რა სათქმელადო, მაგრამ ეხლა იგივე გაზეთები ამბობენ, რომ რენის სამხედრო სასამართლომ უარი სთქვა-რა ჩვენება ჩამოერთმია, ბრალდებულის უმთავრეს მოწმეებისათვის, პასუხის მგებლობა იკისრა მთელი განათლებულ ქვეყნიერობის წინაშეო.

რომში ყველაფერი მოუმზადებიათ პანიცარდისათვის ჩვენების ჩამოსართმევად. თითონ მოწმეც მისულა იქ 27 აგვისტოს და გამომძიებელ კაპრიოლისთვის უცნობებიათ, რომ ჩვენება შენ უნდა მოისმინოვო. ტურინში თავი მოუყრიათ მინისტრ-პრეზიდენტს და გარეშე საქმეთა და სამხედრო მინისტრებს დრეიფუსის ვექილების მიერ აღნიშნულ კითხვების განსახილველად. ვისკონტი-ვენოსტა საკუთრად ამ საქმისათვის მისულა პეზიოდგან ტურინში. როცა ამბავი მისვლიათ, რომ რენის სამხედრო სასამართლომ უარი განაცხადა ჩვენება ჩამოართვას გერმანიისა და იტალიის სამხედრო აგენტებად ნამყოფთო, ყველა იმ დასკვნამდის მისულა, რომ სამხედრო სასამართლოს უკვე გადაწყვეტილი აქვს ბრალდებული გაამტყუნოსო, მაგრამ ვექილებს ამით საბუთი ეძლევათ საკასაციო საჩივარი შეიტანონ სასამართლოს განჩინებაზეო.

— პარიჟში სცხოვრობს მეფე ლუდოვიკ IX ჩამომავალი, ჟიულ დე-ბურბონ დ'არტუა, რომელიც თავისს თავს უწოდებს „საფრანგეთის მეფედ, ჟიულ I.“ ეს „მეფე“ იმდენად გაღარიბებულა, რომ საჭმელი პური აღარა აქვს თურმე. იმას რამდენჯერმე უთხოვნია რესპუბლიკის მთავრობისათვის, ჯამაგირი დამინიშნეთ და ჩემი სასახლეები დამიბრუნეთ პარიჟშიო, მაგრამ თხოვნა არ შეუწყნარებია მთავრობას. ეხლა იმას წერილი დაუბეჭდია გაზეთებში და მწერლებისთვის უთხოვნია, რომ მოიგონეთ ჩემი წინაპარი ლუდოვიკ XIII, რომელსაც პირველად მოუვიდა აზრად გაზეთის დაარსება, და რომელიც თავისი ხარჯით ინახავდა ტეოფრასტე რენოდოს, საფრანგეთის პირველ გაზეთის პირველ რედაქტორს, და შემშილით ნუ მომკლავთო.

—

**ავსტრო-უნგრეთი.** ავსტრიის გაზეთები ამ ჟამად სულ იმას გაიძახიან, რომ გრაფ ტუნის სამინისტრო უთუოდ უნდა გადადგეს სამსახურიდგანო, მაგრამ იმის შესახებ. თუ ვინ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი, გადაწყვეტილად ვერას ამბობენ. წინაზედ ხმა გავრცელდა, რომ ბარონს ხლუმეცკის მიანდობს მეფე კაბინეტის შედგენასო, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ხმა გამოგონილი იყო. ეხლა ასახელებენ მთავარ მინისტრად ბარონ ლექს ფონ-ერენტალს, ავსტრო-უნგრეთის ელჩს პეტერბურგში. ამის საბუთად მოჰყავთ თვით ბარონ ხლუმეცკის სიტყვები. იმას უთქვამს ნემეცთა დიდ მეამბოხეებისათვის, რომ ტუნის ადგილს ერენტი დაიჭერსო. გარდა ამისა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ კიდევ ის ლაპარაკობს, რომ ის დაახლოვებული ყოფილა გარეშე საქმეთა მინისტრ გრაფ გოლუხოვსკისთან, რომელიც, რასა თქმა უნდა, ავსტრიის უფროს მინისტრად ისეთს კაცს მოიწადინებს, რომელიც ყველაფერში მისი თანახმაა. ზოგიერთებს არა სჯერათ ეს ხმები და ამბობენ, რომ ერენტს აზრათაც არ მოსვლია სამინისტროს შედგენაო.

# დამავიწყდა

ღმერთი შეგვინდობს ხოლმე, მაგრამ ბუნება-კი—არასოდეს.

კარმენ სილვა

* * *

შვენიერ იყავ საქმით და ზნეობით, თუ გინდა შვენიერ იყო სოფელსა ამას.

ლასურიძე

* * *

ცნობაჲ მეფეთა, სიბრძნე და სიფრთხილე ისეთი ჰხამს, რომელ ყოველსა ქვეყანასა ზედა, ვითარცა მზე, მოეფინებოდეს, და მდაბალი და მოწყალე იყოს.

პლატონ ფილოსოფ.

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ქალაქ ბორბოლიის მახლობლად უპოვნიათ ერთის, აწ გარდასულის ცხოვრების ჩონ

---

დურებდა.

„იგი აკვანში იწვა პირ-გაღებული, საბანში გახვეული, ჩემის საწოლის პირდაპირ, რომელზედაც მე ვერ დავიძინა.

„როგორ ჩავიდინე ეს დანაშაული?! რა ძალა მიზიდავდა, რა ბოროტმა განძრახვამ შემიპყრო?! ოჰ, განსაცდელმა უცებ დამიმორჩილა! მხოლოდ ეს-ღა მახსოვს: გული ძალზედ მიცემდა; მისი ბაგა-ბუგი ჩაქუჩის ცემასავით მესმოდა, თავი გაბრუებული მქონდა, გონებისა და თავის შეკავება აღარ შემეძლო. იმ მდგომარეობაში ვიყავ, როდესაც კაცი არასა ჰგრძნობს, თავისს თავს ანგარიშს არ აძლევს.

„ფრთხილად გადავხადე ჩემს ბავშვს საბანი და აკვნის გვერდზედ მივაგდე, ბავშვი ტიტველა დარჩა. არ გამოეღვიძა. ფეხ აკრებით მივიპარე ფანჯარასთან და ფრთხილად გავაღე.

„ცივი, ხმელი, გაყინული ქარი ავაზაკსავით შემოვარდა ოთახში. ისეთი ცივი იყო, რომ ჩემდაუნებურად უკან დავიწიე; ქარმა სანთლების ალი შეათამაშა. ფანჯარასთან ვიდექი, უკან ვერ მიმეხედნა, მეშინოდა არ დამენახა, თუ რა ხდებოდა ჩემს იქით. შუბლსა, ლაწვებსა და ხელებზედ ვიგრძენი სიცივე, რომელიც დაუყოვნებლივ შემოთქრიალებდა და შემოგუგუნებდა ფანჯრიდგან ოთახში. დიდ ხანს იყო ღია ფანჯარა. მე-კი სულაც არაფერს ვგრძნობდი და ვფიქრობდი; უცებ წყნარი ხველა მომესმა; ტანში ჟრუანტელმა დამირბინა, რომელსაც ეხლაც-კი ვგრძნობ ხოლმე. გიჟსავით მივაჯახე ფანჯარა და აკვნისკენ გავიქეცი...

„იმას-კი ისევ ეძინა პირდაღებულს, ტიტველს. ვუნახე, ფეხები ძალზედ გასციებოდა; საბანი გადავაფარე.

„უცებ გული მომილბა, ხასიათი გადამიბრუნდა, სიბრალული ვიგრძენ, ტრფიალება და სიყვარული ამ უმანკო არსების მიმართ, რომელიც მინდოდა მომეკლა. დიდხანს ვკოცნე თავზედ და ბოლოს ცეცხლს მიუჯექი.

„ვფიქრობდი ჩემის დანაშაულობის შესახებ. ვცდილობდი შემეტყო იმ გონებრივ ალიაქოთის მიზეზები, რის გამოც კაცს ყოველი აზროვნება ეკარგება, თავს ვეღარ იმაგრებს და, ჰპოქმედებს რა მთვრალსავით, თითონვე არ იცის, რას აკეთებს, სად მიდის და გზა-დაბნეულსავით დაფოთიალებს.

„ბავშვმა ერთი კიდევ დაახველა; ვგრძნობდი, რომ სული შეხუთებოდა. რა იქნებოდა, რომ მომკვდარიყო? ღმერთო! ღმერთო! რა მომივიდოდა მაშინ?

„ავდექი, სანახავად სანთელი მივინათე, დაყრდობილმა ყური მიუგდე იმის სუნთქვას; წყნარად, მშვიდად სუნთქავდა. დავმშვიდდი, მაგრამ მან მესამედ კიდევ დაახველა. ისეთი შიში ვიგრძენ, რომ უკან გადავარდი. სანთელი ხელიდგან გამივარდა.

„ცოტა ხანს უკან გონს მოვედი, სანთელი ავიღე ხელში და შევნიშნე, რომ ცივმა ოფლმა დამასხა, როგორც სულით ტანჯულს კაცს დაესხმის ხოლმე.

„დილამდე თეთრის თვალით გავათენე, სულ შვილს დავყურებდი; ვმშვიდდებოდი მისის წყნარის ძილით და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდი, როდესაც ხველას დაიწყებდა ხოლმე.

„როდესაც გამოიღვიძა, იგი ავად იყო, თვალები გასწითლებოდა და სუნთქვა უძნელდებოდა.

„როცა მისი დედა დაბრუნდა, ბიჭი გავგზავნე მკურნალთან. მოვიდა მკურნალი, გასინჯა ბავშვი და გვკითხა:

— ხომ არ გაგიცივებიათ?

„ძალზედ დაბერებულსავით ავკანკალდი-და წამოვიტუტუნე:

— „ჰო... არა ვგონებ.

— „შემდეგ ვკითხე:

— „საშიში ხომ არა რაა?

„მან მომიგო:

— „ჯერ არ ვიცი, საღამოზედ კიდევ შემომივლი.

„საღამოზედაც შემოიარა. ბავშვი მთელს დღეს სთვლემავდა, ხან და ხან ძალზედ ახველებდა.

„ღამე ფილტვების ანთება დაემართა.

„ათს დღეს ავად იყო. არ შემიძლიან გამოვსთქვა, თუ რასა ვგრძნობდი იმ ხანებში.

„მოკვდა...

„მას შემდეგ არ გაუვლია არც ერთს საათს, რომ ის არ მომგონებოდა და სინიდისის საშინელი, მწვავი მხილება არ მეგრძნო.

„ოჰ! რომ შესაძლო ყოფილიყო ჭკუაზედ შეშლა!!.“

გაათავა ბ-ნმა პუარელ-დე-ლა-ვუტმა ალსარების კითხვა, ჩვეულებისამებრ თვალთაგან სათვალეები მოიხსნა, სამივე მემკვიდრემ ფერ-წასულებმა განცვიფრებით დაუწყეს ერთმანეთს ცქერა.

წუთის შემდეგ ნოტარიუსმა სთქვა:

— ეს უნდა დავწვათ.

დანარჩენებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს. მან აანთო სანთელი, მოაშორა ალსარება ანდერძის ფურცლებს, მიიტანა ცეცხლთან და ბუხარში ჩააგდო.

სამივენი გაშტერებით უცქეროდნენ, როგორ იწვებოდა თეთრი ფურცლები.

მალე მხოლოდ შავი ფერფლი-ღა დარჩა ქაღალდისა; მაგრამ ამ ფერფლსაც ასოები თეთრად ეტყობოდა, ქალმა ფეხი დაადგა დამწვარ ქაღალდს და ძველს ნაცარს შეუერთა.

კიდევ რამდენსამე წამს უცქირეს ამ ნაცარს, თითქოს ეშინოდათ, დამწვარი საიდუმლო ბუხრიდგან არ გამოფრენილიყო.

მ. ლიხელი

ჩხი. სიგრძით ეს ჩონჩხი დაახლოვებით რვა მეტრი იქმნება, ასე რომ ცხოველი მეტად უზარ-მაზარი რამ უნდა ყოფილიყო. როგორც ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ბელლას გამოუკვლევია, ეს ცხოველი ევროპის უძველეს ხანას ეკუთვნოდა და სხვა. დღემდის ევროპაში ნაპოვნ ცხოველებთან შედარებით რამდენისამე ათასის წლის წინად უნდა ეცხოვრნა.

* * *

ქ. ბერლინში აუარებელი რკინის გზებია. ზოგზედ მატარებლები მოძრაობაში ორთქლით მოჰყავთ, ზოგზედ კიდევ ელექტრონით. როგორც სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, 1898 წელს ამ მატარებლებით უმოგზაურნია 362,594,886 კაცს, წინა წელთან შედარებით 32,609,135 კაცით მეტს.

* * *

როგორც დეპეშა იუწყება, საფრანგეთში გარდაიცვალა შესანიშნავი ჰაერონავტი გასტონ ტისანდიე. ტისანდიე დაიბადა 1843 წელს, ქალაქს პარიჟში. College de France-ში სწავლის დამთავრების შემდეგ ტისანდიე ერთის ლაბორატორიის დირექტორად იქმნა დანიშნული. ათი წელიწადი ასრულებდა დირექტორის თანამდებობას და ამ ხნის განმავლობაში ხშირად სამეტეოროლოგიო გამოკვლევებს ჰაეროსტატის შემწეობით ახდენდა ხოლმე. პირველად ტისანდიე ჰაეროსტატით 1868 წელს აფრინდა. ტისანდიე ჰაეროსტატით 1870 წელსაც აფრინდა პარიჟიდგან, როდესაც გერმანელებმა ამ ქალაქს ალყა შემოარტყეს და ქალაქიდგან არავის უშვებდნენ. ერთხელ ტისანდიემ ჰაერში 23 საათი დაჰყო. მეორედ უბედურება შეემთხვა: იმის ამხანაგები დაიღუპნენ, სიკვდილს გადარჩა მარტო თვით ტისანდიე. ტისანდიე ცნობილია როგორც მწერალიც. 1873 წელს მან დააარსა ახალი სამეცნიერო ჟურნალი „La Nature“.

* * *

ამა მდგომარე წლის სექტემბრის ოთხსა და ხუთს ქალაქ მიუნხენში მოხდება გიტარის დამკვრელთა კონგრესი. კონგრესს აზრადა აქვს გამოიკვლიოს ის, თუ რა მიზეზის გამო გიტარას აღარა აქვს დღეს ისეთი გასავალი, როგორიც წინადა ჰქონდა. ამ ერთის საუკუნის წინად გიტარა ყველა სხვა საკრავზედ უფრო ძალიან იყო გავრცელებული. კონგრესი კონცერტით დასრულდება.

* * *

ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ ესა და ეს კაცი ჩიტივით, საზოგადოდ ფრინველივით, ცოტასა სჭამსო. თუ რა მჭამელნი არიან ფრინველნი, შემდეგიდგანა სჩანს: ერთს პატარა ძერის ჩიჩახვში უნახავთ 79 კარგა მოზრდილი ჭია, 24 ბუზანკალა, ერთი თაგვი და ერთიც წურბელა. კირკიტა (ერთგვარი პატარა ფრინველია) ორთა შუა რიცხვით თვეში 1000 თაგვსა სჭამს. მაგრამ ყველაზე მეტი საჭმელი სჭირდება კიოტას (ესეც პატარა ფრინველია), რომელსაც დღეში 1—4 გირვანქა ჭია ძლივსა ჰყოფნის თურმე.

* * *

ამას წინად დონის როსტოვის საპყრობილეში არა ჩვეულებრივი ქორწინება მომხდარა. შეუღლებულან ციმბირიდგან გამოქცეული და ხელ-ახლა შეპყრობილი და უკანვე ციმბირში გასაგზავნადვე გამზადებული ივანე იაკოვლევი (35 წლისა) და პელაგია ლემეშევი (25 წლისა), რომელიც ქურდობისათვის ყოფილა დაპატიმრებული. ნეფე-დედოფალს წინად არასოდეს არა ჰქონიათ ერთმანეთში ნაცნობობა. გაუცვნიათ ერთმანეთი საპყრობილედგან გამომძიებელის სადგომამდე მგზავრობის დროს. იქვე გამომძიებლის ოთახში ქალს პირობა მიუცია იაკოვლევისთვის, რომ ციმბირში გამოგყვებიო. შემდეგ ორთავეს, რასაკვირველია, ცალ-ცალკე, შუამდგომლობა აღუძრავთ და უთხოვნიათ ჯვარის დაწერის ნება მოგვეცითო. ჯვარი დაუწერია საპყრობილეს მღვდელს. დასწრებიან ჯვარის წერას საპყრობილეს უფროსი და ზედამხედველნი. მილოცვის შემდეგ „ახალგაზდები“ ხელ-ახლა დაუშორებიათ ერთმანეთისათვის და ცალ ცალკე ოთახში დაუპატიმრებიათ. იაკოვლევი ამ ცოტას ხანს ციმბირში უნდა გაგზავნონ, ხოლო ლემეშოვს ჯერ ვადა არ გასვლია, ამიტომ უთხოვნია მთავრობისათვის, ნება მომეცით ქმარს გავყვე ციმბირში და იქ ერთ-ერთ საპყრობილეში გადავიხადო სასჯელიო. ამბობენ, მთავრობა ამ შუამდგომლობას შეიწყნარებსო.

### გამოსადეგი ცნობა

ხორცს გაფუჭებისაგან კარგად ინახავს ზედ მოყრილი ბორაქსის ფხვნილი. ხუთ გირვანქა ხორცზედ ერთ მისხლამდე ბორაქსი უნდა იხმარონ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 სექტემბერი

**ვილნო.** ვარშავიდგან მოვიდა სამხედრო მინისტრი. მინისტრმა ინახულა იუნკერთა სასწავლებელი და სამხედრო ოლქის შტაბი. საღამოზედ მინისტრი პეტერბურგში წავა.

**კიევი.** ფინანსთა მინისტრის წინადადებით შემდგარი კომისია შეუდგა განხილვას პროექტისას სტუდენტთათვის საზოგადო საცხოვრებლის და სასადილოს დაარსების შესახებ. შენობას დასჭირდება სულ 400,000 მანეთი.

**პარიჟი.** „მატინ“-ი ამბობს, რომ მინისტრთა საბჭომ პრინციპიალურად ის აზრი გამოსთქვა, რომ დრეიფუსს სასჯელი ეპატიოსო. დეკრეტს, როგორც ითქმის, სამშაბათს, 7 სექტემბერს, მოაწერენ.

**ლონდონი.** „Daily Neus“-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდამ, რომ ათასი კაცი შეუდგა პრეტორიის გამაგრებას, თხრილების თხრას და სიმაგრეების გამართვასაო.

**კაპშტადტ.** როგორც „Times“-ი იუწყება, პირველმა მინისტრმა შრეიდერმა აცნობა საკანონმდებლო საბჭოს, რომ დელაგოას მახლობლად 42 კაცი გახდა ავად შავის ჭირითა და ყველანი გარდაიცვალნენო.

4 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ლაგერმარკი დანიშნულ იქმნა იმავე უნივერსიტეტის რექტორად.

**პარიჟი.** ვალდეკ-რუსსომ გამოუცხადა რადიკალთა დასის წარმომადგენელთ, რომ შეთქმულობის არსებობა მრავალის უეჭველის საბუთებით მტკიცდებაო. ვეღა ერთი რესპუბლიკანელი ვერ გაჰბედავს უსაყვედუროს მთავრობას, როდესაც ბრალდებულთა ხრიკები სრულიად გამოაშკარავდებაო.

**პარიჟი.** გამომძიებელმა ფაბრმა ბრძანება გასცა არ განათავისუფლონ სამოცი ბრალდებული. დერულედი უქიფოდ არის.

საბუთის ქაღალდების გასინჯვამ გამოარკვია, რომ გერენი თვიურად დიდს ჯამაგირს იღებდა იმისთვის, რომ ომის დროს ორლეანელის ჰერცოგის სახელნი ეყვირნა. ეს უნდა მომხდარიყო რესპუბლიკის ღამხობის წინ.

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ქ. განჯაში მცხოვრებთ, რომელთაც არ დაიშურეს თავისი წვლილი და ჩემდამო რწმუნებულ ჯურუყვეთის სამრევლო სკოლასთან დაარსებულ უფასო სამკითხველოს შემოსწირეს ფულად და წიგნად: მიხეილ მამულაიშვილმა წიგნები, ღირებული 9 მან., იაგორ და ალექსანდრე გოგიბერიძეებმა წიგ. ღირებ. 4 მან., ალექსანდრე მიქაბერიძემ 6 წიგნი 2 მ. 50 კაპ., ჯაფარიძემ 10 წიგნი 2 მან., ისიდორე სტურუამ 6 წიგნი 2 მ., მაქსიმე პაპავამ 10 წიგნი 1 მან., ლევი სეგალიმ (სეგალია) 1 წიგნი 80 კ., ლევან ხერხეულიძემ 1 წიგნი 40 კ., გრიგოლ ქალანთაროვმა 2 წიგნი 60 კაპ., ლეონიდე გოლუბკინმა 1 წიგნი 30 კ., ვლადიმირ ტურგაზაროვმა 1 წიგნი 30 კ., ვლადიმირ თოფურიძემ 2 წიგნი და ფულად 4 მან., სვიმონ კალანდაძემ ფულად 2 მან., გორგილაძემ ფულად 1 მან., განჯის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელმა ფულად 2 მან., სამოელ გოგვაძემ ფულად 1 მან., ანდრია პატარაიამ 1 მან., ბ. წერეთელმა 1 მ., გრიგოლ კუალოვმა 1 მან., ჯურუყვეთში მცხოვრებმა აზ. გიორგი ბეჟანის ძე გიგინეიშვილმა სკოლას შესწირა ოცი მანეთი. დიდი მადლობის ღირსია განჯის გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე პლატონ გიგინეიშვილი, რომელმაც იკისრა ყველა ამ ფულების და წიგნების შეკრება და თავის მხრით შემოსწირა თორმეტი მანეთის წიგნები და ათი მანეთი ფული.

ჯურუყვეთის წმინდა ნიკოლოზის ეკკლესიის მღ. ექვთიმე თოდრაძე

## განცხადებანი




როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—17)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ყვირილაში—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; ბათუმში—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); სამტრედიაში—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. ქუხში—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—25) ნ. წერეთელი

**ქალაქ ტფილისის გამგეობა აცხადებს**, რომ, მისის თანადასწრებით, 10 სექტემბერს, შუადღის 1-ლ საათზე, ხელ-მეორე საჯარო ვაჭრობა იქმნება იმ იჯარის გასაცემად, რომლითაც მოიჯარადრემ 12000 ფუთი ნავთი უნდა წარადგინოს ქალაქის ქუჩების გასანათებლად.

იჯარის პირობები მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 1-ლ საათამდე, კვირა-უქმეს გარდა. (3—6.—3)

**ქალაქის გამგეობა** აცხადებს სარდაფებისა, ტრაქტირებისა და დუქნების პატრონთა საყურადღებოდ, რომ მეტრაქტირეობის შესახების დებულების 43 მუხლის თანახმად, მან გააწერა მათზედ საშუალო აქციზი. ამ გაწერის ქაღალდი გამოკრულია გამგეობის ოთახში ამა წლის 2 სექტემბრიდგან. ვინც უკმაყოფილოა ამ გაწერისა, უფლება აქვს საჩივარი წარადგინოს ქალაქის საბჭოში ათის დღის განმავლობაში.

(1—6.—1.)

ისყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ
ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
для начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА

ფასი 50 კ. (15—6)

გამოვიდა გასასყიდად ბროშიურა რუსულს ენაზედ:

НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ

თხზ. ი. პ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა, და გაგზავნითაც ჩვენ გავუგზავნით. **ადრესი:** ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო

**კაპიროზის ქაღალდები**

ყაზბეგისა და მამია გურიელის სახეების ზედ გამოხატვით.

მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.

**სიყალბეს ერიდეთ!**

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“, ქუთაისი.

(10—8)

**საკომერციო კურსები**

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავლაბრის ბოლოში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანველიანცს, ტფილისს. (24—24)


Дозволено цензурою, Тифлисъ 4 го Сентября 1899 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.